



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 23

„11“ აგვისტო 2014 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის იურიდიული პირის -
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინფრასტრუქტურის და
კეთილმოწყობის სამსახურის“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე
მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს
დააფუძნოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინფრასტრუქტურის და
კეთილმოწყობის სამსახური“.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

მუხლი 3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში,
მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის გამზირი №41)

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი